



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030173811153920

№ 10-34/თ

26 / ნოემბერი / 2020 წ.

**„ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის“ კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებლად რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე“**

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული №20 დანართის - „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის“ კომპონენტის რეალიზებისათვის, ამავე დანართის მე-7 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლების გათვალისწინებით, და „სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს № 01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

ა) „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის“ კომპონენტის მომსახურების (საქონლის) მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმა (დანართი N1);

ბ) „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის“ კომპონენტში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი (დანართი N2).


2. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინაცია უზრუნველყოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტმა (კ. ჩხარტიშვილი).

3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (მ. ქვარაია) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის გაგზავნა, აგრეთვე, მათი გამოქვეყნება, დროებით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე, საჯაროობის მიზნით.

4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ (დანართის N20.2) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლად რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 27 მარტის № 04-183/თ ბრძანება.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელემენტრულად 

თამარი მელიქიძე